ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ს. ყ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.02.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 018/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ /სიითი №...././

საჩივრისმოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 20 თებერვალს ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. ყ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ვ. მ.-ს იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა სამემკვიდრეო საქმეზე და მასთან 2014 წლის 14 ივლისს გააფორმა იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი თავიდანვე იჩენდა უგულისყურობას მისი საქმის მიმართ და მისთვის რთული იყო ადვოკატთან დაკავშირება, ვ. მ. არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას წარმოდგენდა ადვოკატის დასთან დაკავშირება.

1.4 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ კონტაქტის სირთულის გამო, მას დამოუკიდებლად უწევდა საპროცესო მოქმედებათა განხორციელების ვადების გაგება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეთა შორის დადებული პირველი ხელშეკრულება შედგენილი იყო ადვოკატის ნებით, მის მიერ და მასში მითითებული იყო ანაზღაურების შემდეგი წესი და პირობები: ,,კლიენტი ადვოკატს უხდის იურიდიული მომსახურების საფასურს ხელშეკრულების დადებისთანავე 2000 (ორი ათას) აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში". ,,მემკვიდრეობის სრულად მიღების შემდგომ კლიენტი ვალდებულია ადვოკატს გადაუხადოს 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში".

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ ადვოკატმა გადაუგზავნა ახალი ხელშეკრულება საჩივრის ავტორს, სადაც მასთან შეთანხმების გარეშე ჩამატებული იყო შემდეგი ქვეპუნქტი: ,,მემკვიდრეობის მისაღებად სასამართლო პროცესებში მონაწილეობისა და პროცესის მოგების, საპროცესო მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმების შემთხვევაში და მემკვიდრეობის მიღების შემდგომ, კლიენტი ვალდებულია ადვოკატს გადაუხადოს მიღებული სარგებელი (მიღებული ქონების) 10%". ის არ დაეთანხმა ახალ პირობებს და არ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. თავიდან ადვოკატმა უთხრა, რომ გაეგრძელებინათ ურთიერთობა ადრე შეთანხმებული პირობებით, თუმცა შემდეგ, როდესაც საქმეს იხილავდა სააპელაციო სასამართლო, ადვოკატმა უთხრა, რომ საქმე დამთავრდა, ს. ყ. უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, რადგან აქ იყო საჭირო, ის უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოს სხდომაზე.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საქართველოში მისი დაბრუნების შემდეგ, ჩანიშნული სასამართლო პროცესი ჩაიშალა იმის გამო, რომ ადვოკატისათვის მის მიერ მიცემულ მინდობილობას 2 დღეში ვადა გასდიოდა და საჭირო იყო მინდობილობის განახლება. ამავე პროცესზე, ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ის ითხოვდა სასამართლოს სხდომის თარიღის ჩანიშვის შეცვლას, რადგანაც არჩევნებში მაჟორიტარული წესით იყრიდა კენჭს. ამ ფაქტის დაფიქსირების შემდეგ ერთ-ერთმა მოსამართლემ გააფრთხილა საჩივრის ავტორი არჩევნებში ადვოკატის შესაძლო გამარჯვების შედეგების შესახებ და აცნობა, რომ გამარჯვების შემდეგ ვ. მ.-ს შეუჩერდებოდა ადვოკატის უფლებამოსილება.

1.8 აღნიშნული გარემოებების დადგომის შემდეგ საჩივრის ავტორმა მიმართა ადვოკატს და აცნობა, რომ სურდა შეეწყვიტა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა და ითხოვდა უკან მიეღო საქმესთან დაკავშირებული მასალები და ჰონორარი. მოთხოვნის საპასუხოდ ადვოკატმა მას მოსთხოვა დაესაბუთებინა ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც ის წყვეტდა ხელშეკრულებას.

1.9 საჩივრის ავტორმა წერილობით აცნობა ადვოკატს მისი პრეტენზიების შესახებ და თანხის მოთხოვნის საფუძვლად მიუთითა 2014 წლის 14 ივლისს გაფორმებული იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაზე, სადაც მითითებულია, რომ ,,კლიენტი უფლებამოსილია ადვოკატისგან მოითხოვოს ანგარიში გაწეული სამუშაოებისა და საქმის მიმდინარეობის მიმართ“ და ,,კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ადვოკატის მომსახურეობაზე, თუ იგი არაკეთილსინდისიერად და არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და მოითხოვს გადახდილი თანხის 50%-ის უკან დაბრუნება“. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ დააბრუნა გადახდილი გასამრჯელოს 50% და პირიქით, მოითხოვა ჯარიმის გადახდა.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მასსა და ადვოკატს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, სადაც ადვოკატმა განმცხადებელს აცნობა, რომ თუ არ მოხდებოდა ხელშეკრულების გაგრძელება, სასამართლო პროცესებს წააგებდა.

1.11 საჩივრის ავტორი არ ეთანხმება ადვოკატის განმარტებას იმის შესახებ, რომ პირველი გასაუბრებისას ვ. მ.-მა განუმარტა ის, რომ მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები არ აწესრიგებდა სასამართლოში წარმომადგენლობის ვალდებულებას. 2017 წლის 26 აპრილს საჩივრის ავტორმა ადვოკატ ვ. მ.-ის ახსნა-განმარტების საპირისპიროდ წარმოადგინა განცხადება, რომელსაც თან ერთვის სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა (რეგისტრაციის ნომერი N..., რეგისტრაციის თარიღი 15.07.2016), სადაც რწმუნებულს, ადვოკატ ვ. მ.-ს სხვა უფლებებთან ერთად, მინიჭებული ჰქონდა შემდეგი უფლებამოსილება: "რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრიც ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს".

1.12 საჩივრის ავტორმა 2018 წლის 06 მარტის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ნაწილში ადვოკატის მიმართ პრეტენზია აღარ აქვს და ამ პრეტენზიის ნაწილში სურს, რომ კომისიამ შეწყვიტოს ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ვ. მ.-მა 2017 წლის 27 თებერვალს წარმოადგინა ახსნა -განმარტება, სადაც დაადასტურა, რომ მასსა და საჩივრის ავტორს შორის მართლაც დაიდო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. 2014 წლის 14 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საჩივრის ავტორის მამის გარდაცვალების შედეგად დარჩენილი მემკვიდრეობის მიღების მიზნით კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების გაწევა, წარმომადგენლობა ყველა ადმინისტრაციულ თუ კერძო პირებთან, ნოტარიუსთან, საბუთების გამოთხოვა და ყველა იმ მოქმედების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობდა ხელშეკრულების მიზნის მიღწევას. მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, კლიენტი ვალდებული იყო ხელშეკრულების დადებისთანავე გადაეხადა 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო მემკვიდრეობის მიღების შემდეგ - თანხის მეორე ნაწილი, რომლის ოდენობა შეადგენდა 2 000 (ორი ათას) აშშ დოლარს.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ს. ყ.-ისათვის მომსახურების გაწევის პერიოდში, საჩივრის ავტორის მამის მეუღლემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა 1998 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ ფარგლებში, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილმა იშვილა საჩივრის ავტორი. ამ ფაქტის გაგების შემდეგ ადვოკატი ესაუბრა კლიენტს და აცნობა, რომ თავდაპირველი მოლაპარაკებით, სასამართლოში წარმომადგენლობა არ შედიოდა მისი უფლებამოსილების ფარგლებში და ამიტომ უნდა დადებულიყო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრებოდა, რომ მემკვიდრეობის მიღების შემდეგ კლიენტი ვალდებული იქნებოდა ადვოკატისთვის გადაეხადა არა ადრე შეთანხმებული 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარი, არამედ მიღებული სამკვიდრო ქონების 10%. კლიენტმა საუბრისას განაცხადა თანხმობა ამ პირობაზე, თუმცა ახალი ხელშეკრულების გაგზავნის შემდეგ, მან უარი განაცხადა მასზე და ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ევალებოდა სასამართლოში წარმომადგენლობა, ის მაინც დათანხმდა და ჩაერთო პროცესში მოპასუხე ს. ყ.-ის წარმომადგენლად, სადაც მოსარჩელე იყო ს. ყ.-ის მამის ქვრივი. საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და მოსარჩელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში.

2.4 ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ მის მიერ მომსახურების გაწევის დროს, კლიენტის მონაწილეობით დაიწყო კიდევ ერთი პროცესი, სადაც მას მოუწია ჩართვა. სასამართლო დავის სააპელაციო განხილვის ეტაპზე, სხდომაზე გამოცხადდა კლიენტი, რომელსაც მოსამართლემ განუმარტა, რომ ადვოკატის მიმართ გაცემულ მინდობილობას გასდიოდა ვადა და შემდეგ პროცესზე საჭირო იყო განახლებული მინდობილობის წარმოდგენა. ამიტომ, მან კლიენტს თავიდან მიაწოდა მისი მონაცემები. ამის მიუხედავად შემდეგი სხდომა გადაიდო, რადგან კლიენტს დაავიწყდა, რომ პროცესზე წარმოედგინა განახლებული მინდობილობა. ამ ფაქტის შემდეგ კი - მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორი და განუცხადა, რომ ის კმაყოფილი არ არის მის მიერ გაწეული მომსახურებით და სურს ხელშეკრულების შეწყვეტა.

2.5 ადვოკატმა ეთიკის კომისიის 2017 წლის 13 ივნისის სხდომაზე დამატებით განაცხადა, რომ ის საჩივრის ავტორს საქართველოში ჩამოსვლის მოთხოვნით არ დაკავშირებია. კლიენტს მის საქმეზე მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას სკაიპისა და ტელეფონის (ვაიბერი, ფეისბუქი) საშუალებით. თუ ისე მოხდებოდა, რომ მის ზარს კონკრეტულ მომენტში ვერ უპასუხებდა, შემდეგ ყოველთვის თავად ურეკავდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მოსამართლემ საჩივრის ავტორს სხდომაზე მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადვოკატი იყრიდა კენჭს და თუ გაიმარჯვებდა არჩევნებში, საადვოკატო საქმიანობის უფლება აღარ ექნებოდა, ამ ფაქტის შესახებ მას კლიენტისათვის ინფორმაცია მიწოდებული ჰქონდა მანამდე, სანამ მოსამართლე სხდომაზე იტყოდა. ამასთან, ის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ისეთი პარტიის ეგიდით, რომ გამარჯვების შანსი ძალიან ნაკლები ჰქონდა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტისაგან მიიღო 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში და მიიჩნევს, რომ ეს ჰონორარი მას ეკუთვნის.

2.8 ეთიკის კომისიის 2018 წლის 06 მარტის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის მიხედვითაც მან ს. ყ.-ს ჩაურიცხა 70 (სამოცდაათი) ლარი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2017 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ს. ყ.-ისათვის ცნობილი არ იყო ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი, ხოლო საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა ვ. მ.-მა მას არ დაუბრუნა იმ თანხის ნაწილი, რაც მიღებული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად და აღნიშნული უფლებამოსილება სრულად არ განუხორციელებია, შესაძლოა დარღვეულად

ჩათვლილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-15 ნაწილები.

3.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ მისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით - ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნულ ნორმათა დარღვევა არ დასტურდება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ს. ყ.-სა და ადვოკატ ვ. მ.-ს შორის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმდა 2014 წლის 14 ივლისს. ადვოკატს ს. ყ.-ისათვის იურიდიული მომსახურება უნდა გაეწია მემკვიდრეობის მიღების მიზნით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ს. ყ.-ის 2017 წლის 29 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ვ. მ.-ის 2017 წლის 27 თებერვლის ახსნა-განმარტება;

2014 წლის 14 ივლისის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე.

4.1.2 მხარეთა შორის პირველი მინდობილობა დაიდო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სკაიპის მეშვეობით, ხოლო მეორე მინდობილობა გაფორმებულია 2016 წლის 15 ივლისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 06 მარტის სხდომის ოქმი;

2016 წლის 15 ივლისის N .... მინდობილობა.

4.1.3 საჩივრის ავტორს ვ. მ.-ისათვის სულ უნდა გადაეცა 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარი. ადვოკატმა ს. ყ.-ისაგან იურიდიული მომსახურების საფასურის სახით მიიღო 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი. ხოლო დარჩენილი თანხა კლიენტს ადვოკატისათვის უნდა გადაეცა საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ს. ყ.-ის 2017 წლის 29 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ ვ. მ.-ის 2017 წლის 27 თებერვლის ახსნა-განმარტება;

2014 წლის 14 ივლისის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 06 მარტის სხდომის ოქმი.

4.1.4 ადვოკატმა ვ. მ.-მა ს. ყ.-ს დაუბრუნა 70 (სამოცდაათი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2018 წლის 06 მარტის სალაროს შემოსავლის ორდერი N./.....;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 06 მარტის სხდომის ოქმი.

4.1.5 ადვოკატმა ს. ყ.-ის საქმეზე განახორციელა შემდეგი იურიდიული/საადვოკატო მოქმედებები: მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისთვის დადგენილ 6 თვიან ვადაში; ს. ყ.-ის შვილებასთან წარმოშობის სასამართლო დავაში მონაწილეობა მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლოში სრულად და მეორე ინსტანციაში ნაწილობრივ. ადვოკატი ს. ყ.-ის წარმომადგენლად ჩაერთო კიდევ ერთ სასამართლო დავაში, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენდა ს. ყ.-ის ძმა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 06 მარტის სხდომის ოქმი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის".

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

6.2 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან

მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

6.3 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.4 განხილვის კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე დაიდო წერილობითი ფორმით 2014 წლის 14 ივლისს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, კონკრეტულად: ,,შალვა ყანჩაველის (კლიენტის მამა) გარდაცვალების შედეგად დარჩენილი მემკვიდრეობის მიღების მიზნით, კლიენტისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა, წარმომადგენლობა ყველა ადმინისტრაციულ თუ კერძო პირებთან, ნოტარიუსთან, საბუთების გამოთხოვა, ყველა იმ მოქმედების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს ხელშეკრულების საგნის მიზნის მიღწევას“.

6.5 განხილვის კოლეგიის შეფასებით, მხარეთა შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საგანია ისეთი იურიდიული მომსახურების განხორციელება, რომლის მიზანია შესაძლო სადავო სამკვიდრო ქონების მიღება მემკვიდრე ს. ყ.-ის მიერ. ეთიკის კომისია ასევე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება და არც ეთიკის კომისიის საპროცესო, ასევე განხილვის კოლეგიის სხდომაზე გაჟღერებულა რაიმე მოსაზრება, რომელიც ეთიკის კომისიის წევრებს მიანიშნებდა იმაზე, რომ იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებობდა რაიმე ტიპის დავა ს. ყ.-სა და სხვა შესაძლო მემკვიდრეებს შორის, შესაბამისად, მხარეებმა არ იცოდნენ მომსახურების ის შესაძლო ფარგლები, რომელიც დასჭირდებოდა მომსახურების საგნის სრულყოფილად შესრულებას.

6.6 კოლეგიის შეფასებით, მას შემდეგ რაც დღის წესრიგში დადგა ს. ყ.-ისათვის სასამართლოშიც საადვოკატო მომსახურების გაწევა, ადვოკატმა მას გაუგზავნა ახალი საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება, სადაც თავიდან განსაზღვრა ხელშეკრულების საგანი, გაწერა წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში და განსაზღვა თავისი შრომის საფასურიც. აღნიშნული ხელშეკრულება მან გაუგზავნა კლიენტს, ამ ფაქტს ადასტურებს ორივე მხარე. კლიენტი არ დაეთანხმა ხელშეკრულების პირობებს და ხელშეკრულებას ხელი არ

მოაწერა. მიუხედავად ამისა, იმ საადვოკატო მომსახურების საფასურის ფარგლებში, რომელიც უკვე აღებული ჰქონდა, ადვოკატი კლიენტს გაჰყვა სასამართლოში წარმომადგენლად.

6.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს გადასცა 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი, რასაც ასევე ადასტურებს ადვოკატი ვ. მ. როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი განმარტებით. კლიენტს, მას შემდეგ რაც მიიღებდა მემკვიდრეობას კიდევ უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი. კოლეგიის შესაფებით, 2000 აშშ დოლარის ფარგლებში ადვოკატმა განახორციელა შემდეგი საადვოკატო მოქმედებები: კანონით სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ 6 თვიან ვადაში მიმართა ნოტარიუსს; ს. ყ.-ის შვილების გაუქმების მოთხოვნით დავის წარმოშობის შემდეგ ვ. მ. ჩაერთო ს. ყ.-ის საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოში სრულად და მეორე ინტანციის სასამართლოში ნაწილობრივ. ასევე, ადვოკატი ს. ყ.-ის წარმომადგენლად ჩაერთო კიდევ ერთ სასამართლო დავაში, რომელიც წარმოიშვა ასევე საქმის წარმოების პროცესში კიდევ ერთ მემკვიდრესთან, ს. ყ.-ის ძმასთან.

6.8 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტის საქმეზე განახორციელა საადვოკატო მომსახურება სრული მოცულობით, რასაც იმ ეტაპზე საქმის წარმოებისათვის შედეგის დადგომა შეეძლო. ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა შეწყდა კლიენტის - ს. ყ.-ის ინიციატივით. ადვოკატმა კლიენტის წარმომადგენლობა ვეღარ შეძლო კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე.

6.9 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა საბანკო ქვითარი, რომლის თანახმად მან ს. ყ.-ის ანგარიშზე ჩარიცხა 70 (სამოცდაათი) ლარი. ადვოკატის განცხადებიოთ, ეს ის თანხაა, რომელზეც თვლის, რომ კლიენტისაგან მიღებული 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარის ფარგლებში არ გამოუმუშავებია. თავის მხრივ, ს. ყ.-მა კომისიას განუმარტა, რომ თანხის ნაწილში ადვოკატთან არ აქვს პრეტენზია და საჩივრის გახმობა სურს.

6.10 კოლეგიის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს მიღებული არ ჰქონდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი სრულად, მან კლიენტს დაუბრუნა მიღებული თანხის ნაწილი. კლიენტს ადვოკატისათვის გადაცემულ ჰონორართან დაკავშირებით პრეტენზია აღარ აქვს და შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს ს. ყ.-ისათვის გაწეული საადვოკატო მომსახურებით არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-15 ნაწილები.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №018/17 ადვოკატ ვ. მ.-ს /სიითი №...././ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32).

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიისწევრი: /ინგა სეხნიაშვილი/